პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 207 (15117)

9 სექტემბერი ხუთშაბათი 1971 წ. ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი — ვადამდე!

ქუთაისის № 1 სამკერვალო გაერთიანების ჭიათურის სამკერვალო ფაბრიკამ წლის დასაწყისიდან ასეულ ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა. ეს წარმატება იმან განაპირობა, რომ საწარმო ბოლო დროს აღიჭურვა ახალი მოწყობილობით. მექანიზებულია შრომატევადი პროცესები. საწარმოში ბევრი მოწინავე მუშაა. საუკეთესოთა შორის ასახელებენ მკერავ ციური ერგეშელიძესაც, რომელიც ცვლის დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. სურათზე: მოწინავე მკერავი ც. ერგეშელიძე (ზემოთ).

ფოტო ა. მაჭავარიანისა.

სამტრედიის ელიტური მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მრავალდარგობრივია რაიონში. საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმებში 640 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვიდან 200 მეწველია. სახელმწიფოს უკვე მიაყიდეს 260 ტონა რძე იმ 330 ტონის ანგარიშში, რომელსაც მიმდინარე წლის დავალება ითვალისწინებს.

სურათზე — ქვემოთ მარცხნიდან: მწყემსი დავით ჭელიძე, საბჭოთა მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი დურმიშხან ჭანიშვილი და მეცხოველეობის ბრიგადირი ამბროსი გეგია.

ფოტო ხ. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ზამთარი ზამთარია, ხელუხლებელია

Правда

8 სექტემბრის მოწინავე

ადამიანთა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მიერ შექმნილი მთელი სიმდიდრე ჩვენში მთლიანად ხალხს ეკუთვნის. ამით განისაზღვრება საბჭოთა ადამიანების დამოკიდებულება საზოგადოებრივი საკუთრებისადმი. არის რა საბჭოთა წყობილების ეკონომიური საფუძველი, სოციალისტური საკუთრება ჩვენს საზოგადოებაში წმიდათა წმიდა და ხელშეუხებელია.

შეგნებული მისწრაფება სათუთად დაიცვან და განუხრელად ამრავლონ ხალხის დიდებათი კომუნისტური თვისებაა. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს შთააგონებს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ კომუნიზმი იწყება იქ, სადაც ჩნდება უბრალო მუშების თავგანწირული, მძიმე შრომის დამძლევი ზრუნვა „შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, თვითეული ფუთი პურის, ქვანახშირის, რკინის და სხვა პროდუქტების დაცვაზე, რომლებიც ხვდება არა მოშუავეებს პირადად და არა მათ „მახლობლებს“ არამედ „შორეულებს“, ესე იგი საერთოდ მთელ საზოგადოებას...“

პარტია ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ასეთი ზრუნვა თვითეული საბჭოთა ადამიანის ქცევის ურღვევი ნორმა, მორალური პრინციპი გახდეს. როგორც სკკპ XXIV ყრილობამ აღნიშნა, შრომისა და ხალხის საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვა იდეურ-პოლიტიკური მუშაობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

საზოგადოებრივი დოვლათისადმი ახალი, კომუნისტური დამოკიდებულება საფუძვლად უდევს იმ მასობრივ მოძრაობას მომჭირნეობისათვის სახალხო მეურნეობაში, რომელიც მეცხრე ხუთწლედის დასაწყისიდან სულ უფრო ფართო გაქანებას იღებს. მრეწველობის მუშაკებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პირნათლად შეასრულონ პარტიის ყრილობის მიერ დასახული ამოცანები — გააუმჯობესონ ნედლეულისა და მასალების გამოყენება, უზრუნველყონ შავი ლითონების ნაგლინის მომჭირნეობა 18-20 პროცენტით, შეამცირონ ხარჯობის, ელექტროენერგიის, ქიმიური, ხე-ტყისა და სხვა მასალების ხარჯვის ნორმები 7-10 პროცენტით. „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ შეჯიბრებაში მშრომელები უნდა დარაზმოს ნედლეულისა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მომჭირნეობისათვის. მომჭირნეობას, რომელიც შეჯიბრების მილიონობით მონაწილეთა ბრძოლი დევიზი გახდა, საგრძნობი შედეგები მოაქვს. მაგალითად, მარტო როსტოვის ოლქის საწარმოებში ამ ბოლო სამი წლის მანძილზე დაიზოგა 53 მილიონ მანეთზე მეტი. ძალიან ეხმარებენ ურაინის, უკანის, ბტავროპოლის მხარის, ცომბირის, ყაზახეთისა და სხვა რაიონების მოწინავე მხვნელ-მთესველები, რათა მთლიანად, უკანასკნელ მარცვლამდე აიღონ და შეინარჩუნონ ახალი მოსავალი — სამშობლოს დიდი სიმდიდრე.

ჩვენი სოციალისტური საზოგადოება ყველაზე უკეთესად საზოგადოებაა, სადაც დიდად ფასდება შრომა და მისი ნაყოფი, სადაც ყოველგვარი მფლანგველობა ეწინააღმდეგება ცხოვრების მთელ წყობას. წმიდად დავიცვათ საზოგადოებრივი საკუთრება — ნიშნავს აქტიურად ვიბრძოლოთ უყაირათობის, მფლანგველობის წინააღმდეგ ხახვრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვაში. ჩვენ ვერ შევურიგდებით აქ კერძომესაკუთრული ზნეჩვეულებებისა და ფსიქოლოგიის გამოვლინებებს, რომლებიც თავს იჩენენ სახალხო დოვლათისადმი უსულგულო, ზოგჯერ კი სახალხო ანგარებითს დამოკიდებულებაში. ვერ შევურიგდებით იმას, რომ ზოგიერთ საწარმოში, თუნდ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ხვავრო ჭკლში ხშირად თვალს არიდებენ მატერიალური ფასეულობებისა და პროდუქტების განიავებისა და გაფუჭების ფაქტებს, სახელმწიფოს ხარჯზე ზოგიერთი პირის მიერ ხელის მოთბობის ცდებს.

უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლა პარტიული ორგანიზაციებისა და მთელი ჩვენი საზოგადოებრიობისაგან მოითხოვს მაღალ პრინციპულობას, მთხოვნელობას, მიუხედავად პიროვნებისა. სწორედ პრინციპულობა აკლია ზოგჯერ ზოგიერთ პარტიულ ორგანოს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. მაგალითად, რიგის ვაგონსაშენებელო ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა სწორი პარტიული შეფასება ვერ მისცა საწარმოს ხელმძღვანელი მუშაკების უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი, რის შედეგადაც სახელმწიფოს დიდი მატერიალური ზარალი მოუვიდა. ჩაურევლობის პოზიცია დაიკავეს ამ შემთხვევაში სსრ კავშირის მილიონ, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროსა და გზათა სამინისტროს შესაბამისი მთავარი სამმართველოების ხელმძღვანელმა მუშაკებმაც.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან თვითეულ კოლექტივში ქმნიდნენ იმ პირებისადმი შეურიგებლობის ვითარებას, რომლებიც არ უფრთხილდებიან სოციალისტურ საკუთრებას, უდარდელად ეკიდებიან მის დაცვას. საბჭოთა კანონი მკაცრად ხჭის ამათ, ვინც ხელყოფს საზოგადოებრივ დოვლათს. დაუხსელი ვერ დარჩებიან ის ადამიანებიც, რომლებიც თვითნაი გულგრილობით ხელს უწყობენ მფლანგველებსა და დამტაცებლებს. კრიტიკისა და თვითკრიტიკის იარაღი, საზოგადოებრივი აზრის ძალა უნდა გამოვიყენოთ ყველა მუშაკის აღსაზრდელად მატერიალურ ფასეულობათა დაცვისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. უდიდესი მნიშვნელობა აქვს კადრების სწორ შერჩევას, რომლებსაც ეს ფასეულობანი აქვთ მინდობილი.

ზოგიერთ საწარმოსა და მეურნეობაში განსაკუთრებულ წვრილმან ბასიათს იძენს საკითხი ეგრეთწოდებულ წვრილმან დატაცებათა შესახებ. „პრავდის“ ბევრი მკითხველი შეშფოთებით წერს, რომ ზოგიერთ საწარმოში ხელმძღვანელთა გულმოწყალე დამოკიდებულება ისეთი საქციელისადმი ზოგჯერ აშკარა ხელშეწყობად გადაქცევა ხოლმე, ამასთან საზოგადოებრივი ორგანიზაციები გარეშე მაყურებლების როლში გამოდიან. ამგვარი პრაქტიკა შეუთავსებელია — როგორც სახელმწიფო ინტერესებთან, ისე ჩვენს მორალურ ნორმებთან.

ხალხის დოვლათის დაცვისა და ხელშეუხებლობის გადამწყვეტი პირობაა სახელმწიფო დისციპლინის ზუსტად დაცვა, შეუწყნარებელი საზოგადოებრივი კონტროლი მეურნეობისა და ვაჭრობის ყველა დონეზე. კერძოდ, საჭიროა უზრუნველვყოთ მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის, დაცვისა და რეალიზაციის წესების ზუსტად შესრულება, რევიზიებისა და ინვენტარიზაციის დროულად და გულდასმით მოწყობა. მფლანგველობასთან და უყაირათობასთან ბრძოლა მთელი საზოგადოებრიობის საქმეა. ამ ბრძოლის წარმატება მეტწილად არის დამოკიდებული პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა მასობრივ ორგანიზაციებზე, სახალხო კონტროლზე. პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ უნარიანად წარმართონ მათი საქმიანობა, გამოიყენონ პრობაგანდისტული და მასობრივ-საგიტაციო მუშაობის სხვადასხვა საშუალებანი და ფორმები მშრომელებში საზოგადოებრივი საკუთრებისადმი მაღალშეგნებული, კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდისათვის.

სოციალისტური საკუთრების, როგორც სამშობლოს ძლიერების და ხალხის კეთილდღეობის წყაროს გაფრთხილება და განმტკიცება თვითეული საბჭოთა მშრომელის ურღვევი კანონი, მოქალაქეობრივი მოვალეობაა, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციით არის გათვალისწინებული. წმიდად ასრულებენ რა ამ მოვალეობას, საბჭოთა ადამიანები ამავდროულად ხელს უწყობენ სოციალისტური სახელმწიფოს სიმდიდრესა და ძლიერებას, წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ კომუნისტური მშენებლობის პროგრამას.

ღირსეული შეხვედრა — ოქტომბრის დღესასწაულს!



ავიამშენებლები: თვითეული მეოთხედი უეჭიბრების მონაწილეა

ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანეს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტიულ – სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა, რომელიც 7 სექტემბერს გაიმართა. კრება მიეძღვნა „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხილვას.

საწარმოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ საამქროების, პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მოწინავე მუშები, პროფკავშირის აქტივი და ბრიგადირები. კრებაზე აღინიშნა, რომ ქარხნის მუშათა 98 პროცენტი მონაწილეობს სოციალისტურ შეჯიბრებაში. წარმოების დაახლოებით 2300 ნოვატორი ატარებს კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდებას, 17 საამქროს, სამ განყოფილებას, 48 უბანსა და 30 ბრიგადას მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივების წოდება.

ქარხანაში ფართოდ გავრცელდა შეჯიბრების ახალი ფორმები. სანარდო ანაზღაურებაზე მყოფ მუშათა 50 პროცენტზე მეტს აქვს შრომის ნაყოფიერების გადიდების პირადი შემოქმედებითი გეგმები. ამდენივე მონაწილეობს მოძრაობაში „ხუთდღიური — ოთხ დღეში“. საწარმოს კადრის მუშაკები ეხმარებიან ახალგაზრდობას პროფესიის შერჩევაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში.

შედეგები საიმედოა. მაგალითად, ეკონომისტთა გამოანგარიშებით შრომის ნაყოფიერების გადიდების პირადმა გეგმებმა ხელი შეუწყო პროდუქციის მოცულობა გაზრდილიყო 463 ათასი მანეთით, მნიშვნელოვნად დაზოგილიყო ნედლეული და მასალები. გაიზარდა სხვა მარეგნებლებიც.

მაგრამ როგორც ქარხნის დირექტორის ი. ხვედელიანის მოხსენებაში აღინიშნა, ზოგიერთმა მოწინავემ, უბანმა და საამქრომ, რომლებიც კომუნისტური შრომის დამკვრელის კოლექტივის წოდებას ატარებენ, რამდენიმე დაიბიეს თავიანთი პოზიციებიდან.

— შეჯიბრების თვითეული მოწინავის წახალისებისას, — თქვა ამხ. ხვედელიანმა, — უნდა გადავსინჯოთ ჩვენი დამოკიდებულება ჩამორჩენილი ამხანაგებისადმი. კომუნისტური შრომის დამკვრელებს, კოლექტივებს უნდა მივუდგეთ დიდი მომთხოვნელობით, მათ პატიოსანი, შეგნებული შრომით უნდა გავამართლონ თავისი წოდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიზანშეწონილია ჩამოერთვათ მათ ეს წოდება.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ამწყობმა ზეინკალმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ასათიანმა, ხარატმა, სტახანოვური მოძრაობის veტერანმა ნ. როდომანჩენკომ, ამწყობმა ზეინკალმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. ბოლოვინმა. მოიწონეს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა თვითეულ მუშას ჩავუნერგოთ სიყვარული თავისი კოლექტივისადმი, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ქარხნის მარკის ღირსებისათვის, პროფესიული სიამაყე.

საამქროს უფროსმა ა. მოსიძემ, საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა რ. მორღუმიანმა და ვ. აბესაძემ წამოაყენეს წინადადება საწარმოს თვითეულ უბანში სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლის შესახებ, ილაპარაკეს მატერიალური და მორალური სტიმულირების ღონისძიებებზე, რომელსაც იყენებენ კოლექტივისა თუ მუშაკის რეალური შრომითი წვლილის გათვალისწინებით.

კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია კიდევ უფრო განავითარონ ქარხნის მშრომელთა ინიციატივა და შრომითი აქტივობა, წარმატებით განახორციელონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, გაიაროონ სოციალისტური შეჯიბრება სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის. (საქდესი).

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ

დაიწყო კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლის აღება

ახალციხე. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს პირუტყვის საკვების დამზადება... ამ დღეებში რაიონის სოფლის მშრომელებს კიდევ ერთი საზრუნავი გაუჩნდათ: დაიწყო კარტოფილისა და ბოსტნეულის კულტურების მოსავლის აღება.

რაიონის საზოგადოებრიებმა და სახელმწიფო მეურნეობებმა დამამზადებელ პუნქტებს უკვე ჩააბარეს 2.000 ცენტნერზე მეტი კარტოფილი, 1.000 ცენტნერამდე ბოსტნეული.

სახელმწიფოსათვის კარტოფილისა და ბოსტნეულის მიყიდვის საქმეში დაწინაურდნენ აწყურის მერძევეობა-მებოლეობის საბჭოთა მეურნეობა, ახალციხის მებოსტნეობა-მებოლეობის საბჭოთა მეურნეობა, ვალეს, მუსხის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

მოსავლის აღება რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმატებით გრძელდება.

საქმეთმოდგომე სჯნა

თელავი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს საშემოდგომო თავთავიანი კულტურები 5.211 ჰექტარზე უნდა დათესონ. საამისოდ ნიადაგის სხვა წარმატებით მიმდინარეობს, მოხნულია 1.100 ჰექტარზე მეტი.

გვალვის მიუხედავად მექანიზატორები ხვნას მაღალთარისხოვნად აწარმოებენ და ცდილობენ ეს სამუშაო გათვალისწინებულ ვადებში დამთავრონ.

ამ სამუშაოს ხარისხოვნად შესრულებისათვის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

ინიციატივა, ნოვატორობა

ამ რამდენიმე დღის წინათ გადავხედეთ ხუთწლედის პირველი წლის ვადამდე შესრულებისათვის ნაკისრი ვალდებულებებს. განვაზოგადეთ მოწინავეთა გამოცდილება, რომელიც ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულებას ითვალისწინებს. ამ თაოსნობას ჩვენს ფაბრიკაში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. სწორედ ამის საფუძველზე გადავწყვიტეთ ნაკისრი ვალდებულების დამატებით დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 15 ტონა ქაღალდი და 15 ტონა მუყაო, აქედან დაზოგილი ნედლეულით 5 ტონა ქაღალდი და 5 ტონა მუყაო, შრომის ნაყოფიერება აგამაღლოთ 1,5 პროცენტით, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მივიღოთ 6 ათასი მანეთი პირობითი ეკონომია.

ამ წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვით ბრიგადირებს დ. რუხაძეს, ა. სარუხანოვს, ბ. სხირტლაძეს, ჯ. ანდღულაძეს, შემკეთებელებს გ. აკოფოვს და მ. ბელაგოვს. ამ მოწინავე მუშებმა პირველებმა დაუჭირეს მხარი სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრეველ მ. არათანაშვილის ინიციატივას — ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში. ახლა ისინი პირობას გადაჭარბებით ასრულებენ.

ფაბრიკის საამქროებში ფართოდ ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მიმდინარე წლის გეგმების ვადამდე, გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გ. ხახიშვილი,
თბილისის ქაღალდის ფაბრიკის დირექტორი.

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და მ. ა. სუსლოვის შეხვედრა ამხანაგ ლ. ლონგოსთან

7 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი შეხვდნენ იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ლუიჯი ლონგოს, რომელიც დასასვენებლად იყო საბჭოთა კავშირში.

საუბრის დროს, რომელშაც ჩაიარა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში, რაც დამახასიათებელია საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და იტალიის კომუნისტურ პარტიას შორის ურთიერთობისათვის, განიხილეს ურთიერთსაინტერესო აქტუალური საკითხები.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი.

7 სექტემბერს საღამოს ლუიჯი ლონგო საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა. (საქდესი).

მხურვალედ ულოცავენ

ერთვნული დღესასწაულის — ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავის გამო ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ და ა. ნ. კოსიგინმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მხურვალე მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს ტ. შივკოვს და ს. ტოდორუმს, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს, მთელ მოძმე ბულგარელ ხალხს მხურვალედ მიეულოცეს და ყოველივე საუკეთესო უსურვეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 23-ე წლისთავის გამო.

კორეაში სახალხო-დემოკრატიული წყობილების გამარჯვება, ნათქვამია მილოცვაში, ისტორიული მოვლენა იყო, რასაც მოჰყვა ძირეული შემობრუნება კორეელი ხალხის ცხოვრებაში, რომელიც დაადგა სოციალისტური განვითარების გზას. სახალხო ხელისუფლების დამყარების წლისთავს სოციალისტური კორეა ეგებება ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის ვითარებაში, რასაც თავდადებული შრომით მიაღწია მოძმე კორეელმა ხალხმა თავისი შრომის პარტიის ხელმძღვანელობით.

მილოცვაში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა ხალხი გულწრფელი სიმპათიით და კმაყოფილებით ხვდება კორეელი ხალხის წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში, განურჩევლად უპირს მხარს მის სამართლიან ბრძოლას სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის. საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად უჭერს მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კონსტრუქციულ წინადადებებს, რომელთა მიზანია ბოლო მოეღოს ამერიკის იმპერიალიზმის ჯარების მიერ სამხრეთ კორეის ოკუპაციას და მიენიჭოს კორეელ ხალხს უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საშინაო პრობლემებს გარედან ჩაურევლად.

მილოცვაში გამოთქმულია რწმენა, რომ ჩვენი პარტიების, ქვეყნებისა და ხალხების ძმური მეგობრობა, თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება კვლავაც განვითარდება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების შეკავშირების განმტკიცების, იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ, მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ინტერესების შესაბამისად. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეცამეტე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეორე სესია.

სესიის თავმჯდომარედ ირჩეული დეპუტატმა ჰ. ჭყონია, მდივნად — დეპუტატ რ. ნაცვლიშვილმა.

სესიის განსახილველად შეიტანეს შემდეგი საკითხები: 1. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების ღონისძიებანი. 2. თბილისის საქალაქო საბჭოს 1970 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებაში „ქალაქ თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე ვაჭრობის შესახებ“ ცვლილებათა შეტანა. 3. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის შექმნა და მისი შემადგენლობის დამტკიცება.

მოხსენება პირველ საკითხზე გააკეთა დეპუტატმა შ. ბუხრაშვილმა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ თბილისის საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა, მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გააფართოვეს თავიანთი საქმიანობის სფერო, უფრო მეტად და ღრმად სწვდებიან ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს.

ფართოდ გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება, თბილისის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების, საქალაქო მეურნეობის ყველა ძირითადი დარგის განვითარების 1966-1970 წლების გეგმები.

კაპიტალურმა დაბანდებამ საქალაქო მეურნეობის განვითარებაში მარტო თბილისის საბჭოს აღმასკომის საზით 1966-1970 წლებში შეადგინა 372 მილიონი მანეთი, რაც 45,3 პროცენტით მეტია, ვიდრე 1961-1965 წლებში. სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მიერ აშენებულია 1214 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. კვითლმოწყობილი ბინები მიიღო 38 ათასმა ოჯახმა, თბილისის მთელი მოსახლეობის მეექვსედ ნაწილზე მეტმა. აშენდა 21 ახალი სასკოლო შენობა. მწყობრში ჩადგა ბაგა-ბაღის 31 ახალი შენობა. გაფართოვდა სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებათა ქსელი, აშენდა 4 კინოთეატრი, გაიხსნა 3 მუსიკალური სკოლა და 6 მასობრივი ბიბლიოთეკა. 45,3 პროცენტით გაიზარდა საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების შემოხვევები, ჭალაჭში სამართალდარღვევის რიცხვი ჯერ კიდევ დიდია. ჭალაჭის მოსახლეობა ჯეროვნად არ არის ჩაბმული სამართალდარღვევისა და ანტისაზოგადოებრივი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლაში.

განხილულ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებანი. (საქდესი).

ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობისათვის

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მეორე სესია

მხურვალე მისალოცი დეპეშა

1944 წლის 9 სექტემბრის გამარჯვების, ნათქვამია მილოცვაში, დამთავრდა ბულგარელი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. ბულგარეთის მშრომელებმა ბოლო მოუღეს მონარქიულ-ფაშისტურ რეჟიმს და დაამყარეს რა სოციალისტური საზოგადოების შენების გზას, თავიანთი ნაცადი ავანგარდის — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებული შრომით ღირსშესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს სახალხო ხელისუფლების წლებში.

დეპეშაში ხაზგასმულია, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მიღოცვაში, ისტორიული მოვლენა იყო, რასაც მოჰყვა ძირეული შემობრუნება კორეელი ხალხის ცხოვრებაში, რომელიც დაადგა სოციალისტური განვითარების გზას. სახალხო ხელისუფლების დამყარების წლისთავს სოციალისტური კორეა ეგებება ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის ვითარებაში, რასაც თავდადებული შრომით მიაღწია მოძმე კორეელმა ხალხმა თავისი შრომის პარტიის ხელმძღვანელობით.

მილოცვაში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა ხალხი გულწრფელი სიმპათიით და კმაყოფილებით ხვდება კორეელი ხალხის წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში, განურჩევლად უპირს მხარს მის სამართლიან ბრძოლას სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის. საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად უჭერს მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კონსტრუქციულ წინადადებებს, რომელთა მიზანია ბოლო მოეღოს ამერიკის იმპერიალიზმის ჯარების მიერ სამხრეთ კორეის ოკუპაციას და მიენიჭოს კორეელ ხალხს უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საშინაო პრობლემებს გარედან ჩაურევლად.

მილოცვაში გამოთქმულია რწმენა, რომ ჩვენი პარტიების, ქვეყნებისა და ხალხების ძმური მეგობრობა, თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება კვლავაც განვითარდება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების შეკავშირების განმტკიცების, იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ, მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ინტერესების შესაბამისად. (საქდესი).

საქმიანი ცნობა

„ლუნა-18“ ავტომატური სადგური მთვარისკენ ორბიტაზე

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამა წლის 2 სექტემბერს მთვარისაკენ სტარტი აიღო „ლუნა-18“ ავტომატურმა სადგურმა. დედამიწა-მთვარის ტრასაზე ფრენის დროს სადგურთან მოწყო კავშირგაბმულობის 29 სეანსი, რომელთა დროს გაიზომა ფრენის ტრაექტორიის პარამეტრები და შემოწმდა საბორტო სისტემათა მუშაობა. მთვარისირგვლივი სივრცის გათვალისწინებულ წერტილში სადგურის გასვლის უზრუნველყოფისათვის 4 და 6 სექტემბერს განხორციელდა ფრენის ტრაექტორიის კორექტირება.

7 სექტემბერს მთვარესთან მიახლოებისას განხორციელდა სადგურის დამუხრუჭება, რომლის შედეგადაც იგი გადავიდა წრიულ სელენოცენტრულ ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— სიმაღლე მთვარის ზედაპირიდან — 100 კილომეტრი.

— ორბიტის დახრილობა მთვარის ეკვატორის სიბრტყისადმი — 35 გრადუსი;

— მთვარის ირგვლივ შემოვლის პერიოდი — 1 საათი და 59 წუთი.

შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრს „ლუნა-18“ სადგურთან მყარი რადიოკავშირი აქვს.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, საბორტო აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

9 სექტემბერი
ბულგარელი
ხალხის
თავისუფლების
დღეა

გაპარჭვებული ბულგარეთი

...რთული და მძიმე ისტორიული გზებით იარა ბულგარულმა ხალხმა. ხუთი საუკუნე თელავდნენ მის მიწას ოტომანთა იმპერიის დაუნდობელი მხედრები. ადვილი წარმოსადგენია, როგორი იყო ეს 500 გრძელი წელიწადი, რამდენი უბრალო ხსნისწილი დაიღვარა ამ უსამართლო გრძოლაში...

ხსნა ერთმორწმუნე რუსეთიდან მოვიდა. ბულგარეთში წმინდად ინახავენ იმ წარსული დღეების დიდების ძეგლებს, რომლებიც მათ თავიანთ მხსნელებს დაუდგეს, მაგრამ 1877-78 წლების გამარჯვებით ვერ ისარგებლა ბულგარელმა ხალხმა, თორემ დამპყრობთა ნაცვლად მოვიდნენ საკუთარი კაპიტალისტები, რომლებმაც ქვეყანა ფაშისტურ დიქტატურამდე მიიყვანეს. კომუნისტური პარტია კანონს გარეშე გამოაცხადეს, სოციალიზმის იდეალებისათვის მებრძოლნი ციხეებში ჩაამწყვდიეს, მრავალი მათგანი წამებით მოკლეს ბნელ ჯურღმულებში. მაგრამ ვერაფერმა ვერ გატეხა ხალხის იმედი, რომ თავისუფლება მოვიდოდა. და თავისუფლება მოვიდა!

1944 წლის 9 სექტემბერს ბულგარელმა ხალხმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. შემდგომის ეს დღე სამუდამოდ დამკვიდრდა ყველა ბულგარელის ცხოვრებაში, რადგან ამ დღეს მოვიდა თავისუფლება, რომელსაც ასე ელოდნენ ამ მშვენიერ მიწა-წყალზე. იგი მოვიდა საბჭოთა არმიის ძლევამოსილი წინსვლისა და ბულგარელი ხალხის გმირული ბრძოლის შედეგად.

სამუდამოდ მოიღო ბოლო ფაშისტურ ბატონობას, ხალხმა შვებით ამოისუნთქა, მის წინაშე განვითარების ახალი ფურცელი გადაიშალა. ბულგარელი ხალხი სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგა.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის V ყრილობაზე (პირველი ლეგალური ყრილობა) ბულგარელი ხალხის ბელადმა გიორგი დიმიტროვმა დასახა სოციალისტურ გარდაქმნათა გრანდიოზული გეგმები, რომლებსაც ბურუჟაზიამ პრომაგანდამ ფანტასტიკური უწოდა. და მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ტერიტორიით ბევრად ჩამორჩენილი სახელმწიფო შეძლებდა პარტიის ამ დიადი ამოცანების განხორციელებას. მაგრამ ბულგარეთის ამ ისტორიულ მოზადახასულობათა გადაწყვეტაში გვერდით ედგა უანგარო მეგობარი — საბჭოთა კავშირი, რომელიც მზად იყო დახმარებისათვის. სწორედ საბჭოთა ქვეყნის შედეგად ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ მოკლე ისტორიულ ვადებში შეძლო გადაექცია თავისი ქვეყანა მოწინავე სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სახელმწიფოდ.

ოცდაშვიდი წელიწადი დროის მცირე მონაკვეთია, იგი ერთი თაობის სიცოცხლესაც ვერ გასწვდება, მაგრამ შეხედეთ დღევანდელ ბულგარეთს, რა დიდი ნაბიჯები უვლია წინ, რამდენი რამ გაუკეთებია...

შეხედეთ სოფელს. ბულგარეთის კოოპერატივების მიწებზე ათასობით კომბაინი და სხვა თანამედროვე მანქანები გუგუნებენ. როგორ შეიცვალა იერი სოფლისა! ქოხმახების ნაცვლად წამოიმართნენ ლამაზი საცხოვრებელი სახლები, ყველა ბინაში ტელევიზორი, თანამედროვე ავეჯი, წიგნები... მრავალ სოფელს ამშვენებს კულტურის სახლები, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები...

ბულგარეთი უწინ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ხშირად ნედლეულის ბაზას წარმოადგენდა მათთვის. მრეწველობის თითქმის ყველა ნაწარმი სახვლარგარეთიდან შემომჰქონდათ. დღეს კი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას თვითონ გააქვს სახვლარგარეთი რთული მანქანები. საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პირველი ატომური ელექტროსადგური, უდიდესი კრემიკოვსკის მეტალურგიული კომბინატი, ვიდნინში მუშაობს ძლევარი ქიმიური კომბინატი. ხუთწლედების მანძილზე ბულგარეთში შეიქმნა ინდუსტრიის ახალი დარგები — მეტალურგია, ავტომშენებლობა, მანქანათმშენებლობა, რადიოტექნიკური და მრეწველობა, სწრაფად ვითარდება ენერგეტიკა, შენდება მრავალი ჰიდროსაგებობა, მთელი ქვეყანა ხარაჩოების ტყეშია.

ბულგარეთის ამ მიღწევებში უდიდეს როლს ასრულებს საბჭოთა ქვეყნის უანგარო დახმარება. საკმარისია მხოლოდ ერთი მაგალითის მოყვანა: დაიწყო ფართო მშენებლობა სსრ კავშირ-ბულგარეთის გაზსადენის გაყვანისათვის. ტრასაზე მშენებლებისათვის უკვე აიგო საცხოვრებელი შენობები, სახადილოები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ბინები. « განუწყვეტელ ნაკადად მოდის სამშენებლო ტექნიკა. დაიწყო მილების პირველი საცდელი შედუღება.

საბჭოთა „ცისფერ სათობს“ ფართოდ გამოიყენებენ ბულგარეთის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით ქიმიურ მრეწველობაში, გამოიყენებენ აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. გაზსადენი ახლოს გაუვლის ქალაქებს ტოლბუხინს, ბოტევგრადს, სოფიას, მისი განშტოებები გაემართებიან დევნენისა და ვარნის საწარმოებისაკენ. განზრახულია გაზსადენის 1974 წელს ამუშავება, 1980 წლისათვის კი ბულგარეთი მიიღებს 3 მილიარდამდე კუბურ მეტრ საბჭოთა გაზს.

განა ეს უანგარო მეგობრობის ნათელი ილუსტრაცია არ არის?

დღევანდელი ბულგარეთის უყოველ ოლქში ასობით საშუალო სკოლაა (უწინ ოლქში თითო-თითო ვაჟთა და ქალთა გიმნაზია თუ იყო). თითქმის ყველა ჭაბუკი და ქალიშვილი ამთავრებს საშუალო სკოლას. მთლიანად რესპუბლიკაში კი მოსწავლეთა მერხებთან და უნივერსიტეტების პიუპიტრებთან მილიონნახევარზე მეტი ახალგაზრდა ბულგარელი ეუფლება ცოდნას.

ასეთია დღევანდელი ბულგარეთის მიღწევები. როგორია მისი ხვალინდელი დღე?

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობამ კიდევ უფრო მძლავრი სტიმული მისცა რესპუბლიკის ეკონომიკის და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას. ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა — განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შენებლობის ხანგრძლივი გეგმა, რომელიც რესპუბლიკის მომავალ გამარჯვებათა საწინდარია.

თავისი ეროვნული დღესასწაულის დღეს ბულგარელი ხალხი მხნედ იყურება მომავალში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხთან მხარდამხარ მიდის იგი წინ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. ბულგარელი ხალხის ყველა მღწევათა საწინდარი ყოველთვის იყო და იქნება საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურღვევი მეგობრობა.

ო. ლორთქიფანიძე.

• • •

სურათზე: 1944 წლის 8–9 სექტემბერს საბჭოთა არმიის ნაწილებმა წარმატებით დაამთავრეს იასა-კიშინიოვის ოპერაცია და ბულგარეთის ტერიტორიაზე შევიდნენ. როგორც ღვიძლ ძმებს, ყვავილებითა და პურ-მარილით შეხვდნენ სოფიის მცხოვრებლები გაწმათავისუფლებელს.

ბონი — დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი

8 სექტემბერი. (საკდესი). ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ, — „დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპაში დაძაბულობის შენელების, აგრეთვე არსებულ რეალობათა და ხაზგასმების ცნობისა და საერთაშორისო-სამართლებრივი დატკიცების გზაზე“, — განაცხადა გერმანელთა კომუნისტური პარტიის დროებითმა ხელმძღვანელმა კ. ბაჰმანმა.

ბრიფინგში გამოსულისას კ. ბაჰმანმა ხაზი გაუსვა: დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო-სამართლებრივი ფორმით ოთხმხრივ შეთანხმებაში დგინდება, რომ დასავლეთი ბერლინი არ არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილი და არ ექვემდებარება მის მართვა-გამგეობას.

არსებული მდგომარეობის, პოლიტიკურ და ტერიტორიულ რეალობათა საერთაშორისო-სამართლებრივი ცნობა იყო და არის ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფისა და დაძაბულობის შენელების მთავარი წინაპირობა. ჩვენ ვიხმარეთ რეალობათა ცნობის ასეთ პოლიტიკას, როგორც სანშინაო, ისე საგარეო დარგში, განაცხადა ბაჰმანმა.

კ. ბაჰმანმა შემდეგ აღნიშნა, რომ ეს შეთანხმება ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ ოთხივე სახელმწიფო ცნო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. ისევე, როგორც მოსკოვსა და ვარშავაში დადებული ხელშეკრულებანი, ოთხმხრივი შეთანხმება ხელს უწყობს იმას, რომ დაისახოს მშვიდობიანი განვითარების ახალი პერსპექტივები ევროპის კონტინენტზე.

გეირუთი ვიზიტი სასარგებლო იყო

8 სექტემბერი. (საკდესი). ბეირუთის ტელევიზიამ მოაწყო შეხვედრა ლიბან-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ლიბანის დელეგაციის წევრებთან, რომლებიც ამას წინათ ეწვივნენ საბჭოთა კავშირს.

დემოკრატიული საპარლამენტო ფრონტის თავმჯდომარემ, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა რაშიდ კარამემ, ლიბანის პროგრესული სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ ქამალ ჯუმბლათმა და ეროვნული ბლოკის პარტიის თავმჯდომარემ რაიმონ ედემ თავიანთი შთაბეჭდილებანი გაუზიარეს ტელემაყურებლებს საბჭოთა კავშირში ვიზიტის შესახებ.

მიგვაჩნია, განაცხადა გამოსვლაში რაშიდ კარამემ, რომ ჩვენი მოგზაურობა მეტად სასარგებლო იყო. მოგზაურობის დროს შესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით საბჭოთა ხალხს.

დავრწმუნდით, თქვა მან, რომ საბჭოთა კავშირი ესწრაფვის მშვიდობას და ყველ ღონეს ხმარობს, რათა მიაღწიოს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიან პოლიტიკურ მოწესრიგებას, რაც მას მიაჩნია შესაძლებლად და რეალურად. კარამემ ამასთან აღნიშნა ის დიდი როლი, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეასრულა არაბული ქვეყნების მხარდაჭერისა და მათი შეიარაღებული ძალების ძლიერების აღდგენის საქმეში.

„საბჭოთა კავშირი, — აღნიშნა მან, — იდგა და კვლავ მტკიცედ დგას არაბი ხალხების მხარეზე მათი უფლებებისათვის სამართლიან ბრძოლაში“.

მოლაპარაკებათა კარიზი კარუსელი

8 სექტემბერი. (საკდესი). პრეზიდენტ ნიქსონის მიერ გამოცხადებულმა „ბადარჩანის“ საბანგებო ღონისძიებებმა საფულტო პრობლემების გამო მოლაპარაკებათა კარუსელი დაატრიალა.

მართლაც, ამ ბოლო კვირეებში არ გავა დღე, რომ დასავლეთის რომელიმე ქვეყნის დედაქალაქში ერთმანეთს არ დაუპირისპირდეს კაპიტალისტურ სავალუტო სისტემაში პარტნიორთა თვალსაზრისი.

„პარიზის სავალუტო კვირეული“ დაიწყო საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის ვ. ჟისკარ დ'ესტენისა და იტალიის ხაზინის მინისტრის მ. ფერარი აგრადის შეხვედრით.

ფრანს პრესის სააგენტომ აღნიშნა, რომ ამ შეხვედრას „დიდი მნიშვნელობა“ აქვს. მის შედეგებზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იტალიის მინისტრის განცხადების მიხედვით, რომელიც მან გააკეთა თავის ფრანგ კოლეგასთან მოლაპარაკების შემდეგ. „ჭეშმარიტად უნდა ვიარშიყოთ, არც იოლი, არც მოკლეა, — თქვა მ. ფერარი აგრადიმ, — სწრაფი და შთამბეჭდავი შედეგების მოლოდინი არარეალობა იქნება“.

მ. ფერარი აგრადიმ, რომელიც ახლა „საერთო ბაზრის“ ფინანსთა მინისტრის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს, აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ „მთავარი პრობლემა მსოფლიო სავალუტო სისტემის რეფორმაა“. „საერთო ბაზრის“ პარტნიორებს საერთო აზრი არა აქვთ ამ საკითხზე. უფრო მეტიც, მათ შორის არსებული წინააღმდეგობანი მწვავდება, პირველ რიგში საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის.

ბონი, რომელმაც დაამყარა დასავლეთ გერმანიის მარკის თავისუფლად მერყეული კურსი, ახლა იბრძვის „საერთო ბაზრის“ ყველა ქვეყნის ვალუტების ერთობლივი რევალვაციისათვის.

პარიზმა თავის მხრივ მტკიცედ განაცხადა, რომ მხარს უჭერს მტკიცე პარიტეტს და უარი თქვა მის შეცვლაზე. იგი არჩევს განსხორციელოს მთელი რიგი ადმინისტრაციულ-სავალუტო ღონისძიებანი.

პარიზში ჩამოსვლამდე მ. ფერარი აგრადის რომში მოლაპარაკება ჰქონდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრთან კ. შილერთან. „იტალია-დასავლეთ გერმანიის“ საუბარს, — აღნიშნავს გაზეთი „ნოვა ჟურნალი“, — არც ერთი სანტიმეტრით არ წაუწევია წინ არსებული მდგომარეობა“.

ნიუ-იორკი წინააღმდეგობები მატულობს

8 სექტემბერი. (საკდესი). ათობით მოითხოვს რაც შეიძლება მალე გააუქმონ საიმპორტო შეზღუდვები, რომლებიც პრეზიდენტმა ნიქსონმა შემოიღო ქვეყნის შიგნით და ხაზგარეთ ამერიკული საქონლის კონკურენციის უნარის გადიდების მიზნით.

ეს განაცხადა სან-ფრანცისკოში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ბაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ იასუკავამ, რომელიც ვაშინგტონში მიემგზავრება იაპონია-ამერიკის სავაჭრო და ეკონომიურ საქმეთა კომისიის მორიგი სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

იასუკავამ დაადასტურა, რომ კომისიის წინაშე მდგომი მთავარი პრობლემა იქნება ის საკითხი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოღებულია უცხოური საქონლის შემოტანის 10 პროცენტიანი დამატებითი გადასახადი, რამაც უწინარეს ყოვლისა ლახვარი ჩასცა იაპონიის მრეწველობის ინტერესებს,

ბოგოტა უბადრუკი მდგომარეობა

8 სექტემბერი. (საკდესი). კოლუმბიაში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა ჯანმრთელობის დაცვის საკითხი. ლათინური ამერიკის ამ ქვეყნებში, რომლის მოსახლეობა 21 მილიონს აღემატება, სულ მხოლოდ 10 ათასამდე ექიმია.

ექიმებისა და საავადმყოფოების ნაკლებობა (ათას კოლუმბიელზე სულ მოდის 2 საავადმყოფო საწოლი), ღარიბთა ბინებში ელემენტარული სანიტარული პირობების უქონლობა იწვევს ინფექციურ — კუჭ-ნაწლავის დაავადებათა და ტუბერკულოზის ფართოდ გავრცელებას.

ბავშვთა დიდი სიკვდილიანობა (ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში ყოველდღიურად ასამდე ბავშვი იხოცება) ნამდვილი ჭირია კოლუმბიისათვის, სადაც 15 წლამდე ასაკის ბავშვები შეადგენენ მოსახლეობის თითქმის ნახევარს.

ვაშინგტონი კონგრესმა მუშაობა განაახლა

8 სექტემბერი. (საკდესი). საზაფხულო არდადეგების გამო ერთი თვის შესვენების შემდეგ ამერიკის კონგრესმა მუშაობა განაახლა. თავიანთი შტატებიდან დაბრუნებული სენატორებისა და კონგრესმენების წინაშე დგას მთელი რიგი სერიოზული პრობლემები, რომლებიც აღელვებს ყოველ ამერიკელს: ეკონომიკის მდგომარეობა, მზარდი უმუშევრობა, ვიეტნამის ომი, უზარმაზარი სამხედრო ხარჯები.

ეს საკითხები სრულებითაც არ არის ახალი თანამედროვე ამერიკისათვის, მაგრამ მათი სიმწვავე მით უფრო მატულობს, რამდენადაც 1972 წლის პრეზიდენტის არჩევნებამდე სულ უფრო ნაკლები დრო რჩება.

ეკონომიურ პრობლემებს, როგორც მოელიან, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭნება კონგრესის მუშაობაში. იმ დროს, როცა კონგრესი არდადეგებზე იყო, პრეზიდენტმა ნიქსონმა გამოაცხადა მთელი რიგი ღონისძიებანი ეკონომიკისა და ფინანსების დარგში, რომელებმაც, როგორც მან თქვა, ხელი უნდა შეუწყონ ამერიკის ეკონომიკის გაჯანსაღებასა და საგადახდო ბალანსის გაუმჯობესებას.

მაგრამ ბევრი სენატორი და კონგრესმენი სრულიადაც არ იზიარებს თეთრი სახლის ოპტიმიზმს და აღნიშნავს, რომ პრეზიდენტის მიერ წამოყენებული ღონისძიებანი „ახალ აყვავებას“ მოასწავებენ მხოლოდ დიდი ბიზნესისათვის, მაშინ როცა ამ ღონისძიებათაგან რიგით ამერიკელს მხოლოდ ნამცეცები შეხვდება.

ნაკლებად მწვავედ როდი იდგება საკითხი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ომის შესახებ, რომელიც სულ უფრო გრძელდება. ითვალისწინებენ რა მდგომარეობას ქვეყანაში, სენატორთა მნიშვნელოვანი რიცხვი აპირებს იბრძოლოს მენსფილდის შესწორების მიღებისთვის, რომელიც ითვალისწინებს ამერიკის მთელი ჯარების გაყვანას სამხრეთ ვიეტნამიდან ცხრა თვის განმავლობაში.

ახალი აგრესორია ლაოსში

ვაშინგტონი, 8 სექტემბერი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული ჯარები ამერიკის ავიაციის გაძლიერებული მხარდაჭერით კვლავ შეიჭრნენ ლაოსის ტერიტორიაზე. ამ უდიდეს ოპერაციაში მიმდინარე წლის თებერვლიდან მარტამდე განვლილ პერიოდში, მონაწილეობს საიგონის რეჟიმის 20 ათასზე მეტი ჯარისკაცი.

როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, „ამერიკის ვერტმფრინავებისა და ჯავშნიანი მანქანების არმადამ ისინი შეიჭრანა ქვეყნის სიღრმეში, საზღვრიდან რვა მილზე“. შეჭრის ცენტრი გახდა ხეთანის ბაზა, რომლის რაიონში ამერიკის „ბ-52“ ბომბდამშენებმა გუშინ დაახლოებით 18-ჯერ მოახდინეს თავდასხმა.

შეერთებული შტატების ჯარებმა უზრუნველყვეს ამ ოპერაციის ზურგის დაცვა. ამერიკის შეერთებული შტატების ასმეერთე საჰაერო-სადესანტო დივიზიის 2 ათასამდე ჯარისკაცი გადასცეს სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო ბაზებში, რომელთა პერსონალი მოხსნილი იყო ბრძოლებში მონაწილეობისათვის.

მსოფლიო დღეს

ეროვნული უგედურება

ვაშინგტონი. 8 სექტემბერი. (საკდესი). პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა გამოაცხადა, რომ შეიქმნა ნარკოტიკებით საერთაშორისო ვაჭრობისადმი კონტროლის კომისია სახელმწიფო მდივნის უროკერსის მეთაურობით.

კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ იუსტიციის მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი და ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში.

მთავრობის კომისიის შექმნა ასეთ მაღალ დონეზე მოწმობს, რომ ნარკომანია შეერთებულ შტატებში სერიოზული პრობლემაა, რომელიც, როგორც პრესა განსაზღვრავს, ეროვნული უბედურების ხასიათს იძენს.

სავიაციო კატასტროფა

ბონი. (საკდესი). ჰამბურგის მახლობლად მოხდა დიდი საავიაციო კატასტროფა. სტატის შემდეგ ბედურების სიგნალი გადმოსცა ამერიკის ავიაკომპანიის სამგზავრო თვითმფრინავმა, რომელშიც 120 კაცი იყო.

პილოტმა სცადა დაჯდომა ავტოსტრადაზე, მაგრამ წარუმატებლად. თვითმფრინავი დაეჯახა სახლთა ხიდს და ორ ნაწილად გაიპო. წინასწარი მონაცემებით დაიღუპა 20 მგზავრი, 9 კაცი უკვალოდ დაიკარგა.

დაიღუპნენ მუშები

ნიუ-იორკი. (საკდესი). ექვსი მუშა შრომობდა ხატელევიზიო კოშკის ზედა ოთეძებზე, სადაც დგამდა ახალ გადამცემ ანტენას. უეცრად ანძამ იწყო განწყვეტელი გადახრა. რამდენიმე წამის შემდეგ 412 მეტრი სიმაღლის ნაგებობა გრუხუნით დაენარცხა გადამცემი ცენტრის შენობას.

ზედა კოშკში მყოფი მუშები დაიღუპნენ. ბევრი დაშავდა. ეს კატასტროფა მოხდა ქალაქ სენტ-პოლში (მინესოტის შტატი).

უდიდესი ტანკერი

ტოკიო. 8 სექტემბერი. (საკდესი). იაპონიაში დამთავრდა მსოფლიოში უდიდესი ტანკერის „ნისეკი-მარუს“ გამოცდა. ტანკერის დედვეტია 372.400 ტონა. ტანკერი მალე გაემგზავრება პირველ ნაოსნობაში.

სუპერ-ტანკერი, რომლის სიგრძე 347 მეტრია, გამოყენებული იქნება ნავთობის გადასაზიდად სპარსეთის ყურიდან იაპონიაში. ერთი რეისის დროს იგი გადაზიდავს 450 ათას კილოლიტრ ნავთობს.

ვაშინგტონი სლოვაკი მეგობრები გამოცდილებას გვიზიარებენ

ამ სულმობრძოს ხაზგასმა ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების 7 სექტემბრის გამართა შეხვედრა გამოჩენილ აღმოსავლეთმცოდნესთან, იენის უნივერსიტეტის პროფესორ იოჰან ელსნერთან. მან ილაპარაკა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერების განვითარებაზე.

სტუმარმა აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა მიმართ. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ბოლო ხანებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართველოლოგიის საკითხებზე ორი დისერტაცია დაიცვა. ერთი მათგანი ეხებოდა ქართული ენის ლექსიკის ისტორიას, მეორე — ქართული ენის ფონეტიკას.

ელსნერმა ისაუბრა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარების ისტორიაზე. მან აღნიშნა, რომ ამ დარგში მუშაობა ფართოდ გაიშალა მხოლოდ ბოლო ოცი წლის განმავლობაში. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ისეთი ცენტრები, როგორიცაა ლაიფციგის, ბერლინის, ჰალეს უნივერსიტეტები, ასევე ბერლინის აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. ამ ცენტრებში მომზადდა ათეულობით ახალგაზრდა მეცნიერი, რომელთა ნაშრომები ქვეყნდება სპეციალურ ჟურნალებში.

ელსნერმა ისაუბრა ასევე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერთა მეგობრობაზე საქართველოს მეცნიერებთან, ურთიერთობის ფორმებზე.

გერმანელი მეცნიერის ლექციები თბილისში

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში 7 სექტემბერს გაიმართა შეხვედრა გამოჩენილ აღმოსავლეთმცოდნესთან, იენის უნივერსიტეტის პროფესორ იოჰან ელსნერთან. მან ილაპარაკა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერების განვითარებაზე.

სტუმარმა აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა მიმართ. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ბოლო ხანებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართველოლოგიის საკითხებზე ორი დისერტაცია დაიცვა. ერთი მათგანი ეხებოდა ქართული ენის ლექსიკის ისტორიას, მეორე — ქართული ენის ფონეტიკას.

ელსნერმა ისაუბრა ასევე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერთა მეგობრობაზე საქართველოს მეცნიერებთან, ურთიერთობის ფორმებზე.

შეკრებილთ დიდი ყურადღებით მოისმინეს სლოვაკიის ცენტრალური საფოსტო-სატელეგრაფო სამსახურის გენერალური დირექტორის მოადგილის დოქტორ შტეფან გაზდას, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრის, სლოვაკიის სატელეგრაფო-საფოსტო სამსახურის დირექტორის პრესის განყოფილების უფროსის ემილ ბრატკოს, სლოვაკიის სატელევიზიო და რადიოს დირექტორის ალექსანდრ ტორდას და ჟურნალ „ტეხნიჩნი ნოვინის“ მთავარი რედაქტორის მოადგილის ვლადიმერ რიმარჟიხ-ალტმანსკის გამოსვლები. მათ ილაპარაკეს იმაზე, თუ რა დიდ ინტერესს იჩენენ სლოვაკიისა და მთლიანად ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები საბჭოთა პრესისადმი. ახლა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ნახევარ მილიონზე მეტი კაცია, რომლებსაც გამოწერილი აქვთ საბჭოთა პერიოდული გამოცემანი. (საკდესი).

ხალხის დღესასწაული



ყოველი ხალხის ცხოვრებაში არის მოვლენები, რომელთა მნიშვნელობას ვერ წამლის დრო. კორეელი ხალხისათვის ასეთ მოვლენად გადაიქცა 1948 წლის 9 სექტემბერი, როდესაც მის მიწაზე შეიქმნა მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფო — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.

საბჭოთა არმიის მიერ იაპონიის მილიტარიზმის ნაქები ძალების განადგურებამ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ამაღლებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა იმ იდეალების ცხოვრებაში გატარებისათვის, რომლებისთვისაც მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა კორეელი ხალხი.

მას შემდეგ 23 წელი გავიდა. დღევანდელი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა აზიის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფოა. სწრაფი ტემპით ვითარდება სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. 1956 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1971 წლისთვის 11,6-ჯერ გაიზარდა.

დიდი მიღწევებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის დარგში, წლითიწლობით იზრდება სოფლის მცხოვრებთა დოვლათი, კულტურული დონე.

სოციალისტური თანამეგობრობის აქტიური წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტის საქმეში ეურდნობა სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უანგარო დახმარებას.

საბჭოთა ხალხი ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელი და ყველაზე ახლო მეგობარია, ყოველთვის, როდესაც ჩვენ სიძნელეების წინაშე აღმოვჩნდებით, საბჭოთა კავშირი გვიწვდის მეგობრობისა და დახმარების ხელს. ეს სატყუვები ეკუთვნის კორეელი ხალხის ბელადს კიმ ირ სენს.

ამას წინათ საბჭოთა ხალხმა და კორეელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნეს მე-10 წლისთავი მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებისა, რომელიც უპასუხებს მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს.

მოძმე კორეელი ხალხის მიღწევები მოპოვებულია ძნელ პირობებში. ამერიკის იმპერიალიზმის მეოხებით კორეის ერი გაყოფილია ორ ნაწილად, 38-ე პარალელის მავთულხლართების იქით სამხრეთ კორეაში ბატონობს ტერორი, სიღატაკე, უმუშევრობა, არ წყდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთკორეელი მარიონეტების პროვოკაციები დემილიტარიზებულ ზონაში. ამიტომ კორეელი ხალხის სამართლიანი ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების გაყვანისათვის ნახევარკუნძულის სამხრეთიდან და ქვეყნის გაერთიანება დემოკრატიის საფუძველზე ყოველთვის პოულობდა და პოულობს საბჭოთა ხალხის მხარდაჭერას.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი კორეის შრომის პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიდის წინ სამშობლოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და სოციალისტურ მონაპოვართა განმტკიცების გზით.

• • •

სურათზე: ახალშენებლობანი ქალაქ ხამხინში.

საარქივო ფოსტიდან

გვწერენ, გვირჩევენ

ერთობა
1918-1921

რევოლუციის ჯარისკაცი

ბოლტრ მირტაძემ ერთი იმათგანია, ვინც იმ ქარიშხლიან წლებში თვით რევოლუციამ გამოიხმო ხალხის წიაღიდან და ქვეყნის სვებედისათვის ბრძოლის ერთ-ერთი სა-კომანდო პუნქტი ჩააბარა. ეს იყო ადამიანი, ვინც თავისი სიცოცხლის აზრად და შინაარსს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში ხედავდა. ბრძოლას კი თავისუფლების განთიადი უნდა მოჰყოლოდა. თავისუფლების მონატრებას დაეტყო და განმტკიცება ესაჭიროებოდა. და იგი ქმნიდა, აწრთობდა წითელი არმიის ქართულ ეროვნულ ნაწილებს.

1921 წლის 2 მარტი. საქართველოში დიდი სიხარულის დღეებია. ახლად ამობრწყინებულმა ოქტომბრის მზემ უკვე მოასწრო გატანჯული ხალხის სულში სითბო და ხალისი ჩაებუდებინა. მართალია, გაქცეულ მენშევიკოთა მრევლი ჯერ ისევ ბათუმში იყო შეყუჟული, მაგრამ მათი წუთები ისტორიის საანგარიშოს უკვე გადათვლილი ჰქონდა.

და აი დიდი ლენინი წერილს ბერეს ორჯონიკიძეს: „ვაძლევთ კარგთაველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი!“

მისალმების შემდეგ ბელადი ქართველ კომუნისტებს და პირადად კავბიუროს ხელმძღვანელს სერგო ორჯონიკიძეს ავალებდა: „საჭიროა დაუყოვნებლივ შეკავიაროთ შეშები და ამისათვის გლეხებიდან ამოირჩიოთ ათასი კაცი, ვინც ბრძოლაში უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში ხელიდან ხელში გადასცემდა

დღეს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში

სოხუმი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ი. გოგეჩია

● აგავა ჯერჯერობით მხოლოდ ერთხელ ● პომპაკაშვირული ემბლემით — უღელტეხილზე ● სოხუმიდან ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, პოლონეთში ● ფილია ჟერარი აფხაზეთში; ზ. ფალიაშვილის სადამო

□ სოხუმის დენდროლოგიური პარკისათვის წლევანდელი ზაფხული განსაკუთრებული გამოდგა. აქ ერთდროულად აყვავდა ოთხი აგავა. ეს მოვლენა საყურადღებოა, რადგანაც აგავა მთელი არსებობის მანძილზე ჯერჯერობით მხოლოდ ერთხელ და შემდეგ იღუპება.

— სოხუმის დენდრობაღრის აგავები, — განაცხადა ჩვენთან საუბარში აგრონომმა ი. გუბენკომ. — ოცდახუთი წლისაა. ამჟამად ერთ-ერთი მათგანი ჰყვავის, მეორე უფრო ადრე, ივლისის ბოლოს აყვავდა, კიდევ ორი ემზადება გაშაღოს ფურცლები.

□ ამ დღეებში სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ტურისტული სექციის წევრები გაემგზავრნენ ქლუხორის უღელტეხილზე.

ტურისტები — ოციანი წლების კომკავშირელები და ახალგაზრდა მსახიობები უღელტეხილზე დადგამენ საქართველოსა და აფხაზეთის კომკავშირის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავ სამახსოვრო ემბლემას.

ლაშქრობის მარშრუტია სოხუმი — ქლუხორის უღელტეხილი — დომბაი — ტებერდა. მოგზაურობის მონაწილენი უკან დაბრუნდებიან საქართველოს სამხედრო გზით.

ქლუხორის უღელტეხილზე, სადაც ამჟამად სხვადასხვა ტურისტული მარშრუტები გადის, სოხუმელები კავკასიონის სტუმრებს მოუთხრობენ საქართველოსა და აფხაზეთის კომკავშირის შეხანიშნავ საქმიანობაზე.

□ ძარბანა „სოხუმზღელსაწყოს“ მიერ გამოშვებულ მრავალფეროვან ნაწარმს შორის ერთ-ერთი საინტერესო თერმოსაასკი აპარატი — „ტეკა“.

□ ცნობილი ფრანგი კომპოზიტორი ფილიპ ჟერარი მუუღლითურთ დასასვენებლად იმყოფებოდა სოხუმში.

ამასწინათ უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სოხუმის დასვენებისა და შემოქმედების სახლში. აქ გაიმართა ფილიპ ჟერარის გამოსათხოვარი საღამო. კონცერტის დაწყების წინ დარბაზში ჟღერდა აფხაზი, ქართველი, რუსი, ფრანგი კომპოზიტორების სიმღერები.

დამსწრენი ტაშის გრიალით ეგებებიან ფილიპ ჟერარს. ის ასრულებს თავის ნაწარმოებებს — დაწერილს საფრანგეთის ტელევიზიისა და კინოფილმებისათვის. დარბაზში ჟღერდა მელოდიები კინოფილმიდან „პარიზი, პარიზი“, სიმღერები, რომლებსაც ასრულებდა ივ მონტანი—„გათენებისას“, „მუსიკა“. ფილიპ ჟერარმა თვითონ იმღერა საფრანგეთში პოპულარული სიმღერა ჟ. დერაჯის სიტყვებზე.

საღამოს მონაწილენი აღფრთოვანებით შეხვდნენ სცენაზე ფილიპ ჟერარის ექვსი წლის ვოგონას ელენის გამოჩენას, რომელმაც მამასთან ერთად შეასრულა ფილიპ ჟერარის მიერ სოხუმში დაწერილი სიმღერა ახალგაზრდა ამერიკელ კომუნისტზე ანჯელა დევისზე.

□ დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად საწარმო-დასწესებულებებში იმართება დიდი კომპოზიტორისადმი მიძღვნილი საღამოები. ერთ-ერთი ასეთი საღამო ამას წინათ გაიმართა სოხუმში, ვაჭრობის მუშაკთა ბიბლიოთეკაში. ზ. ფალიაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ილაპარაკა გ. ბარანიკმა. მანვე მოკლედ გააცნო დამსწრეთ ოპერა „დაისის“ შინაარსი. შემდეგ კი საღამოს მონაწილეებმა მთლიანად მოისმინეს გრამფირფიტაზე ჩაწერილი „დაისი“.



სურათზე: სოხუმის ნავსადგური. ფოტო მ. ბარასოვისა.

სხვა გაზეთებიდან

ორთა გრძოლა ტორპედასთან

ასეთი ტრადიცია დამკვიდრდა, რომ კალინინგრადის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტები შრომითს სემესტრს ატარებენ გემებზე, რომლებიც თევზს იჭერენ ნორვეგიის ან შოტლანდიის ნაპირებთან. ვალერი სოლნცევი და სერგეი კოლესნიკი სამუალო ტრალერ „მორჟოვეცზე“ მოხვდნენ.

იმ დამეს, როცა ეს შემთხვევა მოხდა, „მორჟოვეცზე“ ბადეს იღებდნენ. მეზღვაურებს ჯალამბრის დახვევა უძნელდებოდათ. ეს ასეა, როცა ბადეში ბევრი თევზი მოხვდება, თუმცაღა ბადეს თევზი არ ამძიმებდა. ზღვის ფსკერიდან ბადეს ამოჰყვა... ტორპედა.

ვალერი და სერგეი შეშინებული მისჩერებოდნენ ზღვის სიღრმიდან ამოწეულ ფოლადის სიგრძეს. მოულოდნელად ტორპედა შეირხა და ყრუდ მიეხალა გემის კედელს.

ძნელი სათქმელია, რით დამთავრებოდა ეს ამბავი, რომ იქ არ გამოჩენილიყვნენ უფროსი ოსტატი სადი სუნგატულინი და დიმიტრი კარპოვი. ისინი არ შეუშინდნენ სასიკვდილო საფრთხეს. ერთმა ხის კაუჭი აიღო და ტორპედას მისდო, მეორე კი სასწრაფოდ შეუდგა დახლართული ბადის გახსნას. თითქმის მეოთხედი საათი გრძელდებოდა მამაცთა ორთაბრძოლა „შავ სიკვდილთან“, რომელსაც ბადის ნაგლეჯები შემოაცალეს და ისევ ზღვის სიღრმეში ჩაუშვეს.

ეს თავის მკითხველებს მოუთხრო გაზეთმა „იზვესტიამ“.

სპორტი

სტარტზეა ღიდი კალათბურთი

ხმალ დასავლეთ გერმანიის ორ ქალაქში — ესენია და ბობინგენში სტარტს აიღებს ევროპის XVII ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. 12 გუნდი გაყოფილია ორ ქვეჯგუფად. პირველ ჯგუფში არიან (მატჩები გაიმართება ესენში) სსრ კავშირის, რუმინეთის, გფრ-ის. ესპანეთის, საფრანგეთისა და პოლონეთის გუნდები. მეორე ჯგუფში შევიდნენ (შეხვედრები მოეწყობა ბობინგენში) იუგოსლავიის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, თურქეთის, ისრაელისა და იტალიის კოლექტივები. საბჭოთა ნაკრების პირველი მეტოქეა რუმინეთის გუნდი. სპეციალისტები ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტებად იუგოსლავიისა და საბჭოთა გუნდებს თვლიან.

ევროპის ათგზის ჩემპიონის სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში არიან — ვ. ანდრეევი, ა. უარმუხამედოვი, ა. ბელოვი, მ. პაულაუსკასი, პ. ტომსონი, ს. ბელოვი, ზ. საკანდელიძე, ა. ბოლოშოვი, ი. ედეშკო, მ. ჭორჭია, ა. ტამისტე, ა. პოლივოდა.

□ გუშინ კიევში სპორტის ისტორიაში პირველად დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის წყალში მხტომელთა გუნდების საერთაშორისო მატჩი. ეს შეჯიბრება იმითაც არის აღსანიშნავი, რომ აქ თამაშდება სსრ კავშირის თასი.

□ დამთავრდა „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა-სა და ლენინგრადის სკა-ს გუნდები, წარმატება ცსკა-ს ხვდა 6:1 და მეკრძალჯარ მოიპოვა პრიზი.

□ სოხუმში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში. გუშინდლამდე გათამაშდა სამი ტური. ლიდერები არიან საბჭოთა გროსმაისტერები რიგელი ა. ანდრეიკო და მინსკელი ა. განტვარგი, რომლებსაც ორნახევარ-ორნახევარი ჭულა აქვთ.

□ მოსკოვში 17-დან 20 სექტემბრამდე მოეწყობა დედაქალაქის „დინამოს“, „სპარტაკის“, ცსკა-სა და პროფკავშირების ვეტერან ფეხბურთელთა გუნდების ტურნირი. 17 და 18 სექტემბერს შედგება ორი ნახევარფინალური მატჩი, 20 სექტემბერს — ფინალური შეხვედრა.

მაყურებლები მოედანზე იხილავენ ა. ხომიჩს, ლ. იაშინს, თ. ნიკანოროვს, გ. ციარიოვს, ნ. სიმონიანს, ა. გრინინს, გ. ბობროვს, ბ. მასლიონკინს, ჯ. კრიჟევსკის, ნ. დემენტიევს, ა. ილინს, ვ. ივანოვს, ე. სტრელცოვს და სხვებს, წარსულში სახელმოხვეჭილ ფეხბურთელებს.

ფალავნები სარბიელზე

ოდითგანვე უყვართ ჭიდაობა ზემოხანდაკელებს. ამიტომაც არაერთი სახელოვანი ფალავანი გამოსულა ამ სოფლიდან. ყოველ შაბათს სოფელში ქართული „სანჭიდაო“ გაიმართება — ახალგაზრდები სარბიელზე გამოდიან... უამრავი მაყურებელი მყავს ამ უძველეს ხალხურ სანახაობას. ძალის საცდელად კასპის რაიონის რომელი სოფლიდან არ მოდიან ფალავნები ზემო ხანდაკში — ხოვლედან და დღისიდან, სასირეთიდან და ყარაღაჯიდან, ახალცხიდან და ნოსტიდან, ერთაწმინდიდან, მეტეხიდან თუ ახალქალაქიდან.

აი ახლაც, წარსულ შაბათს, ჭიდაობას ,კვლავ უამრავი მონაწილე და სტუმარი პყავდა, რაც ფირზე აღბეჭდა ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა.

ვარლამ მიქაძე

ქართველი ჟურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვარლამ ანდრიას-ძე მიქაძე დაიბადა 1903 წელს ქ. ბათუმში. ბავშვობა და ყმაწვილობა გაატარა ქუთაისში. 1920 წელს ვ. მიქაძემ დაიწყო მუშაობა „საბჭოთა აჭარისტანის“ რედაქციაში ჯერ მისი რედაქტორის მოადგილედ, შემდეგ კი რედაქტორად. კომკავშირულ პრესას დაუბრუნდა — 1932 წელს. კვლავ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორად დანიშნეს.

შემდეგ სხვადასხვა დროს იყო: მარჯანიშვილის სახელობის მეორე სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი, საკავშირო წვის სასკვნარო განყოფილების გამგე, „საქპარტგამომცემლობის“ დირექტორის მოადგილე, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს უფროსი. შემდეგ თითქმის 20 წლის მანძილზე სათავეში იდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმეს.

ვ. მიქაძე ნაყოფიერ შემოქმედებით და მთავარმენლობით მუშაობასაც ეწეოდა.

ქართული ჟურნალისტიკის და საგამომცემლო საქმეში დამსახურებისათვის ვ. მიქაძეს მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, სიგელები.

ვარლამ მიქაძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ქართველი ჟურნალისტებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ცნობათა კუთხე

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატი

აცხადებს, რომ დაიწყო მსვენელთა მიღება, მოსამზადებელ კურსებზე იმ პირთათვის, რომლებსაც სურთ შესვლა ინსტიტუტის დღის და საღამოს განყოფილებებზე

კურსებზე იწარმოებს უველა იმ საგნის სწავლება, რომლებსაც ინსტიტუტში შემოსვლისას მისაღებ გამოცდებზე აბარებენ. კურსებზე ასწავლიან ინსტიტუტისა და სამუალო სკოლის მაღალკვალიფიციური მასწავლებლები.

კურსებზე მეცადინეობა დაიწყება ა. წ. 1 ოქტომბერს და გაგრძელდება 1972 წლის 20 ივლისამდე.

კურსები სამეურნეო ანგარიშზეა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.

მისამართი ი. ჭავჭავაძის პრ. № 45. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედ. ინსტიტუტი. ტელ. 22-50-92.

ყურადღება! მაღალი ძაბვის კაბელია!

მიწისქვეშა ძალოვანი და კავშირგაბმულობის კაბელების დაზიანება იწვევს: მეტროპოლიტენის, კავშირგაბმულობის, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის, წყალმომარაგების, თბომომარაგების და სხვა დარგის წარმოებებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მუშაობის ხანგრძლივად შეწყვეტას, ავარიებს, უბედურ შემთხვევებსა და დიდ მატერიალურ ზარალს. გარდა ამისა, ეს სახიფათოა სიცოცხლისათვის, ვინაიდან მიწისქვეშა კაბელები იმყოფებიან მაღალი ძაბვის ქვეშ.

მშენებელი ორგანიზაციების, საბინაო-სახელოსნოების, კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციო კანტორის ხელმძღვანელებო!

გახსოვდეთ, რომ მიწის უველა სამუშაოს წარმოება შეიძლება მხოლოდ საქალაქო (სარაიონო) ალმასკომის ნებართვით. მიწის სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია გაირკვეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ალმასკომში, მომავალ სამუშაო ადგილზე გადის თუ არა ძალოვანი კაბელები და ვის ეკუთვნის ისინი („საქმთავარენერგოს“ თუ სხვა საწარმოსა და ორგანიზაციას).

მიწისქვეშა საკაბელო ნაგებობათა არსებობის შემთხვევაში საჭიროა: მიწის სამუშაოები შეუთანხმდეს ამ ნაგებობების მფლობელ საწარმოს, მუშაობის დაწყებამდე სამი დღით ადრე გამომახებული იქნას საკაბელო სამსახურის წარმომადგენელი და სამუშაოები შესრულდეს მხოლოდ მისი თანდასწრებით.

ამხანაგო სამუშაოთა მწარმოებლებო, ოსტატებო, გუნდლიდერებო, ექსკავატორზე და სხვა მიწასამთხრელ მანქანაზე მომუშავენო!

არ დაგავიწყდეთ, რომ ძალოვანი საკაბელო ბაზის გავლის დაცვის ზონაში მიწის სათხრელი სამუშაოების ჩატარება მექანიზებული ხერხით აკრძალულია, ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს ძალოვანი კაბელის დაზიანება.

დაიცავით ელექტროგადამცემი ბაზების დაცვის და ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ბაზებისათვის გაკაფულ ტრასებსა და დაცვის ზონის ფარგლებში სამუშაოთა წარმოების წესები და პირობები.

მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ბაზების დაზიანება ისჯება კანონით.

სსრკ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სახელმწიფოს საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველო.

ჩვენ ვიცავთ, რაც მოგვსვინოთ

ტელევიზია

9 სექტემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი — „ვახტანგოვი“, 12.15 — ქართული მხატვრული ფილმი — „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი“, 18.05 — ჰხალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი — „ეს ყველამ უნდა იცოდეს!“, 18.30 — ბავშვებისათვის — მოკლე ემეტრაჟიანი ფილმი, 19.25 — გადაცემა „ჯანმრთელობაც და სილამაზეც“, 19.45 — ახალგაზრდობისათვის — „დარჩეს შენდა სადღეგრძელოდ“, 20.10 — კინონარკვევი, 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „გზა შინისაკენ“, 22.30 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ორერა“ სრული სვლით“, 23.50 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და პარიზის უნივერსიტეტის გუნდი და ვატა გუნდები — ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამით

18.20 — სტუდენტთა დასახმარებლად „მასალათა გამძლეობა“, 20.00 — სკოლების დასახმარებლად — „რუსული ენა და ლიტერატურა“, 21.00 — განცხადებები, 21.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — „პოლიტიკური ეკონომია“, 22.10 — მხატვრული ფილმი „უკრიუმ-მდინარე“ (პარიზელი სერია). 23.30 — „წერალი და მკითხველი“.

10 სექტემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვი დან), 11.15 — კინოპროგრამა, 12.15 — მხატვრული ფილმი — „მზითევიანი ქორწილი“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — მოსწავლეთათვის „ოლიმპიადაში გამარჯვებულნი“, 19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „დინამო“ (თბილისი)-„შახტიორი“ (დონეცკი). შესვენების დროს — 20 საათსა და 45 წუთზე — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.20 — „საკუთარი ნაშანი“, 21.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „სპარტაკი“ (მოსკოვი)-ცსკა. შეხვედრის შორე ნახევარი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „კანონიერების სადარაჯოზე“. 22.50 — საქართველოს ჟურნალი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 23.30 — კინონარკვევი, 23.45 — საერთაშორისო შეხვედრა ფრენბურთში. საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ნაკრებს შორის (გადმოცემა ლენინგრადიდან).

მეორე პროგრამით

19.00 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა, 20.00 — განცხადებები, 20.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — სკკპ ისტორია, 21.10 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი — „ზაფხულის წვიმა“ — 21.40 — მხატვრული ფილმი — „უკრიუმ-მდინარე“ — მეორე სერია, 23.10 — მუსიკალური გადაცემა.

ქუთაისის მეორეული დაკუმბაღების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო ანაზღაურებადი სამსახურებით მოსახლეობის მომსახურების სამმართველოს, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამედიცინო ცნობა ფორმა № 286, ფოტოსურათი 3 ცალი, პასპორტი და სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედრო ვალდებულთათვის), მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის).

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სამსახურით საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში.

სწავლის ვადაა ერთი წელი.

განცხადებები მიიღება 10 სექტემბრამდე.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბერს.

კომბინატის მისამართია: ქ. ქუთაისი, წულუკიძის ქ. მე-5 ჩიხი № 5. ტელ. 6-24-95, 6-40-39.

ტრანსპორტი: ავტობუსი №№ 1, 5, 10, 11. ტროლეიბუსი: №№ 3, 6 (გაჩერება საკონსერვო ქარხანა).

თბილისის № 43 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-72 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს: მამაკაცის ზედა ტანსაცმლის ქვალიფიციურ მკერავებს მასობრივი წარმოებისათვის.

სწავლის ხანგრძლივობა — ერთიდან ორ წლამდე.

სასწავლებელში მიიღებიან 15-25 წლის ასაკის გოგონები 8-10 კლასის განათლებით.

განცხადება მიიღება 25 სექტემბრამდე. განცხადებას უნდა დაერთოს: 1. განათლების და დაბადების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. დახასიათება სკოლიდან, 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. ოთხი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4).

ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას საერთო წესით და საწარმოო სწავლების პროცესში გამომუშავებული თანხის 30 პროცენტს.

საშუალო განათლების მქონე მოსწავლეები სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, სპეციალობის მიხედვით, კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან უმაღლესი სასწავლებლის საღამოს დაწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე.

სასწავლებელში სწავლის დრო ითვლება მუშაობის უწყვეტ სტაჟად.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ლენინის რაიონი, ხუთწლედის ქ. № 65, შე-7 სამკვრვალო ფაბრიკის ტერიტორიაზე. ავტობუსი № 18; ტრამვაი № 1, 3; მეტრო — „დიდუბე“. ტელ. 66-16-62.

ქ. თბილისის № 49 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-72 სასწავლო წელს შემდეგ სპეციალობებზე:

1. მექანიკური სამუშაოების ამწყობ-ზეინკალი, 2. ხარატი, 3. ზეინკალ-ავტომეშეკეთებელი, 4. ტექნიკური კონტროლიორი, 5. ჯოტოწერწენდების ქვეოსტატი და გამფორმებელი, 6. საქმისწარმოებელი-მემანქანე, 7. ზეინკალ-ელექტრომემონტაჟე.

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები, რომელთაც დამთავრებული აქვთ 8 ან 10 კლასი.

სწავლის ხანგრძლივობა 1 წელია.

მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას და გამომუშავებულ თანხას დადგენილი წესით.

საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა შაბათისა და კვირისა.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, გორგასლის ქ. № 115, ტელეფონი 72-11-83. ტრანსპორტი — ლენინის მოედნიდან ტროლეიბუსი 10, ავტობუსი 19 და 23. გაჩერება ქარხანა „ელექტროავტომატი“.

ჟურნალის მეორეული დაკუმბაღების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო ანაზღაურებადი სამსახურებით

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას

1971-72 სასწავლო წლისათვის

კომბინატი ამზადებს საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემისათვის შემდეგი სპეციალობების კვალიფიციურ კადრებს:

1. მამაკაცისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის ინდივიდუალურ მკერავებს; 2. ქალისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის ინდივიდუალურ მკერავებს; 3. ახალი ფეხსაცმლის ინდივიდუალურ მკერავებს; 4. მეავეჯებს; 5. ფოტოგრაფებს; 6. საყოფაცხოვრებო ელექტროსაწყობების შემკეთებელ-ზეინკლებს.

სასწავლებელში მიიღებიან 30 წლის ასაკამდე გოგონები და ვაჟები სამუალო ან 7, 8, 9, 10 კლასის განათლებით. სწავლების პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ 40 მანეთამდე სტიპენდიას, სწავლის პერიოდი ჩაითვლება საწარმოო სტაჟად. სასწავლებელს აქვს მუშათა სასადილო და საერთო საცხოვრებელი.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 9-დან 17 საათამდე, გარდა კვირაღდისა. განცხადებას შემოტანილ უნდა იქნას დერექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: მომართვა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოდან, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამედიცინო ცნობა ფორმა № 286, ფოტოსურათი 3 ცალი, პასპორტი და სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედრო ვალდებულთათვის), მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის).

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სამსახურით საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში.

სწავლის ვადაა ერთი წელი.

განცხადებები მიიღება 10 სექტემბრამდე.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბერს.

კომბინატის მისამართია: ქ. ქუთაისი, წულუკიძის ქ. მე-5 ჩიხი № 5. ტელ. 6-24-95, 6-40-39.

ტრანსპორტი: ავტობუსი №№ 1, 5, 10, 11. ტროლეიბუსი: №№ 3, 6 (გაჩერება საკონსერვო ქარხანა).

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ვაკე)

10 სექტემბერი



ფეხბურთი

საბჭოთა კავშირის პირველობა „ა“ კლასის გუნდებისათვის (უმაღლესი ჯგუფი).

„დინამო“ თბილისი — „შახტიორი“ დონეცკი

ძირითადი შემადგენლობანი

დასაწყისი 19 საათზე.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა ორგანიზაციებში 7-9 სექტემბერს, ბოქსმენტებში 9 სექტემბერს სტადიონის სალაროებში, საერთო გაყიდვა 10 სექტემბერს 10 საათზე.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის პრ№3. № 74, ტროლეიბუსი: 8, 9. ავტობუსი: 20, 21, 32ა.

ხელმოწერთა საყურადღებოდ!

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველო იუწყება, რომ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა 1972 წლისათვის უველგან დაიწყო ამა წლის 1 სექტემბრიდან.

ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა წარმოებს „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში, საგენტოებსა და ხელმოწერის მიმღებ პუნქტებში, პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, აგრეთვე კავშირგაბმულობის ყველა საქალაქო და სასოფლო ჯანყოფილებაში და თბილისის ფოსტამტში.

საზღვარგარეთის ზოგიერთი ჟურნალის გარდა, უველა ცენტრალურ, რესპუბლიკურ და საოლქო ჟურნალ-გაზეთზე, აგრეთვე საქალაქო და რაიონულ გაზეთებზე 1972 წლისათვის ხელმოწერა გასტანს ციმდინარე წლის 25 ნოემბრამდე.

აღნიშნული ვადის შემდეგ ხელმოწერა გაფორმდება 1972 წლის თებერვალსა და შემდგომ თვეებზე.

„სოიუზპეჩატის“ საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო.

რედაქტორის მოადგილე
გ. თათარიშვილი.

„კომუნისტი“ 380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივანს — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

კომუნისტი ინდექს 86443 უე 03069

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.